



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა  
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

04.06.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

05.07.2021

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	203851028

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული/ავტორიზებული

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რამაზ ქურდაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ჩეკურიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
---	--

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია 2013 წელს გაიარა, მეორედ კი – 2020 წლის 26 ივნისს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N 525928 გადაწყვეტილებით მიიღო პირობითი აკრედიტაცია ერთი წლის ვადით. ამ წლის გამავლობაში პროგრამა გადამუშავდა და არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდა.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სტუდენტებმა აითვისონ ქართული ენა იმ დონეზე, რომ სრულფასოვნად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში, სადაც შეიძენენ პროფესიულ კომპეტენციას, რის შემდეგაც მათ შეეძლება სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაცია და საკუთარი წვლილის შეტანა ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება-განვითარებაში.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა მისცეს სტუდენტს ქართული ენის იმგვარი ცოდნა, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე; სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება); ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა; ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად (ე.წ. “სწავლის სწავლის” კომპონენტი).

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება ორი სემესტრია, მოცავს 60 ECTS კრედიტს. პროგრამის კურიკულუმით თანდათანობით ხდება პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების გამომუშავება. პროგრამა ეყრდნობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლს, რის შესაბამისადაც იყოფა ორ, A და B ბლოკებად.

სტუდენტები ჯგუფებში ნაწილდებიან ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის შედეგებით, წერითი და კითხვის უნარების წერილობითი პრეტესტით, ხოლო მოს-

მენა-ლაპარაკის კომპეტენციები განისაზღვრება აუდიოტესტის და ზეპირი ინტერვიუს საფუძველზე. პროგრამა ეყრდნობა სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის მიერ 2018 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი #7 მიღებულ (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს) ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას.

### **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 0 21 0000481487 (24. 05. 2021) თანახმად, 2021 წლის 4 ივნისს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დისტანციურად (ზუმის პლატფორმის გამოყენებით) განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: რამაზ ქურდაძე, მიხეილ გიორგაძე, ქეთი ჩეკურიშვილი

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციურადვე დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აუდიტორიები, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტებულ იქნა ინფორმაცია პროგრამის, მისი სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

- სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში გაკეთდეს დეტალური ჩანაწერი სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით, რითაც მკაფიო გახდება არსებული ჩანაწერის - არანაკლებ 51 ქულისა, მნიშვნელობა.
- A და B ბლოკების ჯგუფებში სტუდენტთა გადანაწილების მექანიზმი მოიხსნას პროგრამის წინაპირობებიდან და გადავიდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში, რადგან ეს, ფაქტობრივად, სტუდენტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ ხორციელდება.
- საჭიროა უნივერსიტეტმა სასწავლო მასალა ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განათავსოს საავტორო უფლებების გათვალისწინებით და შესაბამისი მოთხოვნების დაცვით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური პოპულარიზაცია საქართველოს არაქართულენოვან (აზერბაიჯანელ, სემოეხ, ოს, აფხაზ და სხვ.) მოსახლეობაში.
- სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასებისა და სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლოგია;
- სასურველია, დაწესებულებამ უფრო მაღალი მოლოდინი დასახოს პროგრამის განხორციელების ეტაპზე და სამიზნე ნიშნულებად განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე (51 ქულა) უფრო მაღალი მაჩვენებელი.
- სასურველია გაძლიერდეს მოწვეული პერსონალის ჩართულობა პროგრამის შემუშავების ყველა ეტაპზე;
- სასურველია, აკადემიური პერსონალის (როგორც ძირითადი, ისე მოწვეულის) მჭიდრო კოორდინაციაში ყოფნა სილაბუსების შემუშავება-დახვეწის დროს;
- დასაზუსტებელია ზოგი საგნის სახელწოდება, მაგ. „მეტყველების შესავალი კურსი“, სასურველია, ამ კურსს ეწოდოს: „ქართული მეტყველების შესავალი კურსი“.

- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირება გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესის შესახებ;
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტისათვის გაციფრულებული მასალის (დამატებითი ლიტერატურის) მიწოდება მისთვის სრულყოფილი ცოდნის გადაცემის მიზნით;
- სასურველია, უსდ-მ ვებ-გვერდზე, სათაურის ქვეშ „სტუდენტური ცნობარი“, დაამატოს სტუდენტთა მომსახურებისა და სწავლის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რათა სტუდენტს შეეძლოს მისთვის მნიშვნელოვანი ყველა საჭირო საკითხის გაცნობა.
- სასურველია, უსდ-მ შეიმუშაოს გაწერილი პირობები, აქტივობები, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც პერსონალი გარკვეულ სარგებელს მიიღებს უნივერსიტეტისგან.
- სასურველია, საავტორო უფლებებით დაცვის მიზნით, ერთ კომპიუტერში განთავსებული მასალის გაცნობა რამდენიმე კომპიუტერიდან მოხდეს, რადგან, დიდი ალბათობით, ასეთი მასალის ხელმისაწვდომობა სტუდენტისთვის უნივერსიტეტის მხრიდან გართულდება მხოლოდ ერთი კომპიუტერიდან.
- სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელის როლი პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დაიგეგმოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობა აღნიშნულ პროცესში.
- დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, ვებგვერდზე განახლდეს და აიტვირთოს ზემოაღნიშნულ მექანიზმებთან დაკავშირებული დოკუმენტების ბოლო ვერსიები.
- სასურველი იქნებოდა, სააკრედიტაციოდ წარმოადგენდა პროგრამის შეფასება განხორციელებინა სხვა უმაღლეს დაწესებულებებს ან შესაბამისი მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებს.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამამ გასულ წელს გაიარა აკრედიტაცია, რის შემდეგაც მნიშვნელოვნად გადამუშავდა და დაიხვეწა.



## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტებს დაძლიონ მათ წინაშე არსებული ენობრივი პრობლემები და აითვისონ ქართული ენა იმ დონეზე, რომ სრულყოფილად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში, რის შედეგადაც ისინი შეიძენენ პროფესიულ კომპეტენციას რაც, საბოლოოდ, ხელს შეუწყობს მათ თავისუფალი სამყაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებას, რომელიც შეძლებს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას და საკუთარი წვლილის შეტანას ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებასა და განვითარებაში. ქართულ ენაში მომზადების პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტი: ა. აწარმოებდეს წარმატებულ კომუნიკაციას ქართულ ენაზე; ბ. ადეკვატურად იგებდეს და ქმნიდეს სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტებს (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება); გ. იზიარებდეს, აფასებდეს და პატივს სცემდეს ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობასა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; განუვითაროს ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული კომპეტენციები; დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. ქართულ ენაში მომზადების პროგრამას დასახული მიზნების მისაღწევად გააჩნია ყველა საჭირო წინაპირობა:

- გააზრებული კონცეფცია, რაც აისახება პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში;
- ადამიანური რესურსი;
- მატერიალური რესურსი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზები კავშირშია სწავლის შედეგებთან და მკაფიოდაა განსაზღვრული, თუ რა კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის იგი მიმართული. პროგრამა ეყრდნობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლს და შესაბამისად, იყოფა ორ, A და B ბლოკებად. სტუდენტთა გადანაწილება ჯგუფებში ხორციელდება ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის შედეგების საფუძველზე, წერითი და კითხვის უნარები წერილობითი პრეტესტით, ხოლო მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციები აუდიოტესტის და ზეპირი ინტერვიუს საფუძველზე. პროგრამა ეყრდნობა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას, რომელიც მიღებულია სახელმწიფო ენის



ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი #7 და დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს. პროგრამა ითვალისწინებს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის საგნობრივ თავისებურებებს, შესაბამისად, მოიცავს ენისა და საგნის ინტეგრირებულ სწავლებას დარგობრივი საგნების სწავლების სეციფიკის გათვალისწინებით, მათ შორის, ცალკეულ მიმართულებებზე შემოქმედებითი ტურების სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე.

პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა მოსაზრება, რომ საჭიროა აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმირებულები იყვნენ როგორც ჩვენი დედაქალაქის, ასევე ქვეყნის რეგიონების არაქართველი მოსახლეობა. რაც სავარაუდოდ ხელს შეუწყობს პროგრამაზე მსმენელთა მოიზიდავს, რის შემდეგაც პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განხორციელება რეალური გახდება.

შესაბამისი მასალის (პროგრამა, სილაბუსები) გაცნობისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები რეალისტურია და ასახავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კურსამთავრებულის მომზადებას, რომელსაც შეეძლება ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელება სათანადო მიმართულებით. ამ მხრივ პროგრამა ჯეროვან დონეზეა მომზადებული, მაგრამ სირთულე სწორედ იმაშია, რომ, ფაქტობრივად, პროგრამა განკუთვნილია ჩვენი ქვეყნის არაქართველი მოსახლეობისათვის, რომელთა დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნის პრიფერებში ცხოვრობს, ამიტომ პროგრამის ხელმძღვანელები და განმახორციელებელი პერსონალი მუდმივად უნდა ცდილობდეს ამ პროგრამის და კერძოდ, მისი მიზნების გაცნობას, სწორედ იმათთვის, ვისთვისაც მომზადდა ეს პროგრამა, საჭიროა პროგრამისა და მისი მიზნების მეტი პოლულარიზაცია ჩვენი ქვეყნის არაქართველ მოსახლეობაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა (მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი #7 და დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს)
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური

<p>პოპულარიზაცია საქართველოს არაქართულენოვან (აზერბაიჯანელ, სემოეხ, ოს, აფხაზ და სხვ.) მოსახლეობაში.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</li> <li>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც რეალისტურია; მათი მიღწევა და გაზომვა შესაძლებელია და რომლებიც შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელსა და პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი,</p>

დადგენილია შეფასების პერიოდულობა და სამიზნე ნიშნულები.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებულია იმ სასწავლო კურსების დასკვნითი შეფასების კომპონენტები, რომელთა ფარგლებშიც ჯამდება პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციები.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას არ ახლავს სწავლის შედეგებისა შეფასებისა და სამიზნე ნიშნულების წარმოდგენილი მექანიზმების შერჩევის მეთოდოლოგია. ინტერვიუს მიმდინარეობისას პროგრამის სამუშაო ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების მწირი გამოცდილებიდან გამომდინარე, სამიზნე ნიშნულად აღებულია შესაბამისი შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. ჯერ არ არსებობს პროგრამის კრუსდამთავრებულთა აკადემიური მიღწევების მოცულობითი მონაცემები, რაც დაწესებულებას საპროგნოზო შედეგების იდენტიფიცირების შესაძლებლობას მისცემდა და რომლის ანაზღაურებაც უფრო დააკონკრეტებდა მათ მოლოდინებს სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით. მიუხედავად აღნიშნული განმარტებებისა წარმოდგენილი სწავლის შედეგების დოკუმენტით ვერ დგინდება სამიზნე ნიშნულის - არანაკლებ 51 ქულა, ზუსტი მნიშვნელობა და რასთან მიმართებით გაიზომება ის. დამატებითი შეკითხვების შედეგად ირკვევა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ნიშნავს, რომ პროგრამის ყველა კრუსდამთავრებული შესაბამისი კომპონენტში მიიღებს არანაკლებ 51 ქულას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა (მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი #7 და დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს);
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და კომპეტენციათა რუკა;
- პროგრამის სილაბუსები
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში გაკეთდეს დეტალური ჩანაწერი სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით, რითაც მკაფიო გახდება არსებული ჩანაწერის - არანაკლებ 51 ქულისა, მნიშვნელობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასებისა და სამიზნე ნიშნულების

<p>შერჩევის მეთოდოლოგია;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>სასურველია, დაწესებულებამ უფრო მაღალი მოლოდინი დასახოს პროგრამის განხორციელების ეტაპზე და სამიზნე ნიშნულებად განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე (51 ქულა) უფრო მაღალი მაჩვენებელი.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li></li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღებიან არაქართულენოვან სკოლადამთავრებული აბიტურიენტები, რომლებიც აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებში გამოცდას ზოგად უნარებში მშობლიურ (სომხურ, აზერბაიჯანულ) ენებზე და მინიმალურ ზღვარს გადალახავენ (აფხაზურ და ოსურენოვანი აბიტურიენტები მიიღებიან მშობლიური ენის ტესტში მინიმალური ზღვრის გადალახვის შემთხვევაში). პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესებით. პროგრამაზე მიღება არის გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ მოლაპრაკებები აწარმოა სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრთან. აღნიშნული მოლაპრაკებების შედეგად დაზუსტდა, რომ სახელოვნებო-შემოქმედებით საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველები სახელოვნებო-შემოქმედებით კონკურსში ჩაერთვებიან ქართულ ენაში მომზადების პროგრამის გავლის შემდეგ. რითაც პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები შესაბამისობაში მოვიდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან (მუხლი 473. პუნქტი მე-5).

კურიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გრაფაში მოცემულია ასევე ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტირების შესახებ. აღნიშნული გარემოება დაბნეულობას იწვევს, რადგან ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტირება არ წარმოადგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, არაემდ ის უკვე ჩარიცხულ პირთა A და B ტიპის ჯგუფებში განაწილების ინსტრუმენტია მათი ენის ფლობის დონის გათვალისწინებით. ამიტომ, პროგრამის აღწერაში გამოიყოს ცალკე გრაფა, ჯგუფებში ჩარიცხულ პირთა განაწილების პრინციპის შესახებ ინფორმაციისთვის, ან ის მიეთითოს პროგრამის სტრუქტურის ნაწილში შენიშვნის სახით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

• სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;

- ქართულ ენაში მომზადების პროგრამა და სილაბუსები;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

A და B ბლოკების ჯგუფებში სტუდენტთა გადანაწილების მექანიზმი მოიხსნას პროგრამის წინაპირობებიდან და გადავიდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში, რადგან ეს, ფაქტობრივად, სტუდენტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ ხორციელდება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ორიენტირებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე. პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად პროგრამას ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი, რომელი სავალდებულო კურსი სწავლის რომელ შედეგზე გადის. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პროგრამის შინაარსით და სტრუქტურით. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სააკრედიტაციო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა შედგება 60 კრედიტისაგან. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად (2019 წ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ უნდა გადმოვიდეს პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის A და B ბლოკების ჯგუფებად დაყოფის მექანიზმი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, სტუდენტთა გადანაწილება ჯგუფებში ხორციელდება ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის შედეგების საფუძველზე, წერიითი და კითხვის უნარები წერილობითი პრეტესტით, ხოლო მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციები აუდიოტესტის და ზეპირი ინტერვიუს საფუძველზე. სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე საწყისი ენობრივი კომპეტენციები განსაზღვრის შედეგად (ოთხივე მიმართულებით) განხორციელდება მათი გადანაწილების სხვადასხვა დონის A და B ბლოკების ჯგუფებში.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო-შემოქმედებითი უნივერსიტეტის სპეციფიკას. კერძოდ, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 473-ე მუხლის მე-5 პუნქტს, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარონ შესაბამისი კონკურსი სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით. ვინაიდან აღნიშნული შემოქმედებითი ტურები თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გულისხმობს წერილობით და ზეპირ გამოცდებს, სადაც უნდა წარმოჩნდეს როგორც შემოქმედებითი უნარები, ისე ქართული ენის ცოდნა, პროგრამაში გათვალისწინებულია შესაბამისი დარგობრივი კურსები, ასევე, პროგრამის სტუდენტებს საშუალება ექნებათ საავტორო შემოქმედებითი სახელოსნოების მუშაობაში მიიღონ მონაწილეობა. აღნიშნული სახელოსნოები ფუნქციონირებს სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან და ხელს უწყობს შემოქმედებითი ტურების სპეციფიკის გაცნობასა და ამ ტურებისათვის მომზადებას. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს საშუალება ექნებათ შესაბამის საშემსრულებლო კონკურსებში, შემოქმედებით ტურებში მონაწილეობა მიიღონ კანონის შესაბამისად, მობილობის წესით, სასწავლო წლის ბოლოს, შემდგომი სასწავლო წლის

დაწყებამდე.

პროგრამისა და სილაბუსების გაცნობა, გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან ცხადყოფენ, რომ პროგრამა შედგენილია დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს მასზე დაშვების წინაპირობებს (რისი ბოლომდე გამართვისათვისაც რეკომენდაციას ვთავაზებთ ზემოთ 2.1-ში) და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი თავისი თანმიმდევრულობითა და ლოგიკურობით უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან



### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებულია ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპები. პროგრამის შინაარსში გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რაც არის გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთიანი ეროვნული გამოცდები; აგრეთვე, პროგრამას აქვს ჯგუფებში განაწილების განსაკუთრებული პირობა, რომელიც შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებელთან.
- პროგრამის შინაარსში, ასევე, გაწერილია სწავლის შედეგები; პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, რასაც განსაზღვრავს გამოსაცხადებელი სემესტრი და/ან საგანზე დაშვების წინაპირობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); სტრუქტურა აგებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ეტაპობრივად მარტივიდან რთულის, ზოგადიდან კონკრეტულის მიმართულებით. პროგრამის კომპონენტთა (სასწავლო კურსის შინაარსი, კრედიტების ადეკვატური განაწილება, სწავლების მეთოდიკა, სტრატეგიები, შეფასების სისტემა) უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია უახლესი კვლევების შედეგები და თანამედროვე მიღწევები. პროგრამის სტრუქტურა და კონცეფცია განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობით, ენის ფლობის დონის მიზნად დასახულ სწავლის შედეგებს უზრუნველყოფს. კერძოდ, პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები და მისი შედეგები (როგორც დარგობრივი ცოდნის, ისე ზოგადტრანსფერული უნარების

თვალსაზრისით), სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, სასწავლო გეგმით (სტრუქტურით) გათვალისწინებული დისციპლინები და მათი სილაბუსები და სხვა დამატებითი ინფორმაცია შედგენილია ენის ფლობის მიზნად დასახული დონის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს ამ დონის შედეგების მიღწევას.

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი შედგება სასწავლო კომპონენტებისგან, რომლებიც ქართული ენის შესწავლას უზრუნველყოფს. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში ჩართულ ყოველ სასწავლო კომპონენტს აქვს შესაბამისი სილაბუსი, რომელშიც ნათლად არის გაწერილი კურსზე დაშვების წინაპირობა, კურსის მიზნები, შედეგები, ამ შედეგების 20 მიღწევის მეთოდები, შეფასების სისტემა, სასწავლო მასალის შინაარსი და თემატიკა, რომელიც გაწერილია თხუთმეტ სამუშაო კვირაზე. სილაბუსში მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის შესახებ, ასევე შუალედური შეფასებებისა და სხვა კრიტერიუმებით შეფასების შესახებ. თითოეული სასწავლო კომპონენტის კრედიტების მოცულობა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N3 გათვალისწინებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის საქმიანობა, რომელიც მოიცავს ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მეცადინეობას, გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ფასდება კრედიტით, რომელიც უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს სავალდებულო და სავალდებულო/არჩევით საგნებს, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების შესაბამისად, დარგობრივი ენის სწავლების მეთოდიკაზე დაფუძნებულ კურსებს.
- სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ქართული ენის სწავლების ოთხკომპონენტური ასპექტი და ოთხივე კომპონენტი ისწავლება ინტეგრირებულად.
- დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, პირველ სემესტრში სტუდენტები იყოფიან ორ, A და B ბლოკად. A ბლოკი გულისხმობს პირველ სემესტრში ინტენსიურ კურსებს, მეტი საკონტაქტო საათების ოდენობას და ტუტორთა აქტიურ დახმარებას. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გათვალისწინებულია A ბლოკის სტუდენტებისათვის ინსტენსიური კურსები და ტუტორთა ჩართულობით სწავლება. სასწავლო კურსები მეორე სემესტრში ემყარება ენისა და საგნის

ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკას და მოიცავს დარგობრივი ენის სწავლებას. მეორე სემესტრში გათვალისწინებულია პროგრამის სტუდენტთა ჩართულობა საავტორო სახელოსნოების მუშაობაში, რათა აღნიშნული პროგრამის სტუდენტებმა შეძლონ წარმატებით ჩააბარონ შერცეულ ფაკულტეტებსა და მიმართულებებზე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სახელოვნებო-შემოქმედებითი მიმართულებებით.

შესაბამისი მასალის (პროგრამა, სილაბუსები) გაცნობით და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით გამოვლინდა, რომ კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ასევე ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსთა სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული მასალა ემყარება სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს გაჩნდა სურვილი, რომ პროგრამის შემუშავებაში გაიზარდილიყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა, მჭიდრო კოორდინაცია ყოფილიყო აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის სილაბუსების შედგენის დროს, დახვეწილიყო ზოგიერთი არჩევითი საგნის სახელწოდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
  - გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გასაძლიერებელია მოწვეული პერსონალის ჩართულობა პროგრამის შემუშავების ყველა ეტეპზე;
- სასურველია, აკადემიური პერსონალის (როგორც ძირითადი, ისე მოწვეულის) მჭიდრო კოორდინაციაში ყოფნა სილაბუსების შემუშავება-დახვეწის დროს;
- დასაზუსტებელია ზოგი საგნის სახელწოდება, მაგ. „მეტყველების შესავალი კურსი“, სასურველია, ამ კურსს ეწოდოს: „ქართული მეტყველების კურსი“.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

<ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სალექციო და სასემინარო (პრაქტიკულ) სამუშაოებს, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას.</li> <li>• პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს სურვილისამებრ ჩართონ უნივერსიტეტში დაგეგმილ ღონისძიებებში საორგანიზაციო ჯგუფებში ასისტენტებად, საკოორდინაციო ჯგუფის წევრებად და თეორიული ცოდნა გამოიყენონ საუნივერსიტეტო/სხვა ორგანიზაციები ღონისძიებების ორგანიზებაში (კონფერენციები, გამოფენები, ფესტივალები), რაც მათ პრაქტიკის მიღების საშუალებას აძლევს. ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად, უნივერსიტეტში ტარდება ღონისძიებები, კერძოდ, პროგრამის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გაფორმდა მემორანდუმი რათა უფრო გაფართოვდეს სტუდენტების</li> </ul>

პრაქტიკისა და სტაჟირების შესაძლებლობი. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც სახელოვნებო უნივერსიტეტის დარგობრივი სპეციფიკა, მათ შორის, შემოქმედებითი ტურების სპეციფიკა სავალდებულო/არჩევითი კურსების ფარგლებში. უნივერსიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს სწავლების მეორე სემესტრიდან საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ შემოქმედებითი სახელოსნოების მუშაობაში შერჩეული ფაკულტეტისა და დარგის მიხედვით დამატებითი კონსულტაციებისათვის.

ნებისმიერი ენის შესწავლა, ფაქტობრივად, პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა დამყარებული. სწორედ ამას უთმობს განსაკუთრებულ ყურადღებას ეს პროგრამა, რომლითაც გათვალისწინებულია სტუდენტების მონაწილეობა სხვადასხვა სტუდენტურ ღონისძიებებზე, გამოფენებზე თუ ფესტივალებში, რაც სწორედ ენის, ამ შემთხვევაში ქართული ენის დაუფლების პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება. ამავე მიზნით აღნიშნული პროგრამის სტუდენტების ჩართვასაც ითვალისწინებენ შემოქმედებითი სახელოსნოების მუშაობაში მეორე სემესტრიდან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებების, გამოფენების, ფესტივალების პროგრამები;
- მემორანდუმები;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

## შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სწავლის შედეგების მისაღწევად ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს ენათა დიდაქტიკის უახლოეს მიღწევებს: ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, თარგმანის, თამაშით სწავლების, ინტერაქციული სწავლების, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერიითი დავალებები, მოდელირებული სიტუაციების განხილვა და სხვა), რომელთა ერთობლიობაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება ზემოხსენებული სწავლების ყველა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. ქართულ ენაში მომზადების

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემოქმედებითი სწავლების ასპექტები, მეთოდები და თავისებურებები. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მეორე სემესტრიდან მონაწილეობა მიიღონ შერჩეული სახელოსნოების მუშაობაში, რაც უზრუნველყოფს მათი დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას ქართული ენის კომპეტენციების ამაღლებასთან ერთად.

პროგრამა სწავლის შედეგების მისაღწევად იყენებს ენათა დიდაქტიკის უახლოეს მიღწევებს; სხვადასხვა სასწავლო აქტუოვობისათვის გამოყენებულია ვერბალური, ევრისტიკული, ახსნა-განმარტებითი და სხვა სახის მეთოდები. ყველა ეს ორიენტირებულია სტუდენტზე, შეესაბამება სწავლის საფეხურს და განაპირობებს პროგრამის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სწავლება-სწავლის მეთოდები გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამაში და კურსების სილაბუსებში;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
  - √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სტუდენტთა შეფასება ეყრდნობა ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.
- სტუდენტთა შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის წესდებასთან. უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელი მუშაობის დროს; დ) შუალედური გამოცდების მომზადებას; ე) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას. სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
- სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. სტუდენტი ყოველ საგანში ფასდება ECTS-ის სისტემით (კრედიტის მინიჭების საფუძველზე), 100-ქულიანი სისტემით შეფასების მეთოდებით ადეკვატურად მოწმდება პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი კომპონენტები, მაგ: აქტიურობა, შუალედური შემოწმებები, პრაქტიკული და კვლევითი დავალებები, პრეზენტაციები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.
- კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, დასკვნითი გამოცდა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს წერითი, ზეპირი ან კომბინირებული ფორმით. სტუდენტები ფასდებათ მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე. გათვალისწინებულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და



მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანება, რომლის მიხედვით: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში. სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და ფინალური გამოცდის შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში, უკეთ გაიაზროს თავიანთი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნონ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე.

განსახილველ პროგრამაში დადგენილი პროცედურების მიხედვით ხდება სტუდენტთა შეფასება, რაც გამჭვირვალეა და შეესაბამება კანონმდებლობას, იგი ეყრდნობა ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. სტუდენტთა შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის წესდებასთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შეფასების სისტემა და კრიტერიუმები დაწვრილებით გაწერილია პროგრამაში, სილაბუსებში და სხვა დოკუმენტებში;
- გასაუბრება მომიჯნავე მიმართულების სტუდენტებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

## შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროგრამებთან და პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამაზე სულ ირიცხებოდა ერთი სტუდენტი, ამიტომ გასაუბრება მოხდა უნივერსიტეტის სხვა პროგრამის სტუდენტებთან, ამგვარად, წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის, აკადემიურ და მომსახურე პერსონალთან გასაუბრების შედეგად, შეიქმნა წარმოდგენა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა მომსახურების შესახებ.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ნორმატიული მასალა, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესის, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციას. განთავსებული მასალიდან სტუდენტს შეუძლია გაეცნოს ეთიკის კოდექსს, სადაც გაწერილია როგორც სტუდენტის, ასევე, აკადემიური და მომსახურე პესონალის უფლება-მოვალეობანი.

უსდ-ს შემუშავებული აქვს ნორმატიული აქტები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის სრულ მომსახურებას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ანტიპლაგიატის წესი, რომელშიც ახსნილია პლაგიატის არსი, პლაგიატის პრევენციის აღმოჩენის, შემოწმების მექანიზმი და წესი, შესაბამისი სანქციები. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან უნივერსიტეტში მოქმედი პლაგიატის პოლიტიკის შესახებ.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლების კონცეფცია, სადაც ჩამოყალიბებულია ელექტრონული სწავლების უზრუნველყოფისათვის საჭირო მექანიზმები. შეხვედრებისთვის გამოიყენება ონლაინ კონფერენციების Google Hangout Meet ([meet.google.com](http://meet.google.com)) პლატფორმა. სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ შესაძლებელია გამოიყენონ როგორც ელექტრონული ფოსტა, ასევე სოციალური ქსელები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული პლატფორმა [tafu.ini.ge](http://tafu.ini.ge), საიდანაც სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო კურსებისა და შეფასებების შესახებ. აკადემიური პერსონალი ამ პლატფორმის მეშვეობით აწვდის სტუდენტებს ელექტრონულ სასწავლო მასალას.

უსდ სტუდენტს სთავაზობს სწავლის დაფინანსებას გარკვეული წესით. სტუდენტმა უნივერსიტეტის მხრიდან სწავლის დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს ერთი სემესტრის განმავლობაში განვლილ სემესტრში მიღწეული სწავლის შედეგების მიხედვით. უნივერსიტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს სტიპენდიით, რომელიც განისაზღვრება ერთგვარი კონკურსით. გარდა აკადემიური მიღწევებისა, სტიპენდიის გაცემისას, გაითვალისწინება სტუდენტის აქტივობები კურიკულუმს მიღმა (მაგ. სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა, სტუდენტურ თვითმმართველობაში საქმიანობა, სტუდენტური თვითმმართველობის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში მონაწილეობა და ა. შ). ასევე, სტუდენტს საშუალება ეძლევა მიიღოს საკურსო/საკვალიფიკაციო ნაშრომის და კვლევითი/შემოქმედებითი პროექტების დაფინანსება. მართალია ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამა თავისი არსით და მახასიათებლებით განსხვავდება სხვა პროგრამებისგან, მაგრამ ვინაიდან პროგრამა 60 კრედიტია და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობით შეიძლება ამავე პროგრამის სტუდენტმაც ისარგებლოს (მეორე სემესტრში პირველი სემესტრის სწავლის შედეგების გათვალისწინებით), ამიტომ დაფინანსების შეთავაზება დადებითად აისახება ამ სასწავლო პროგრამის სტუდენტებზეც.

უნივერსიტეტს დაფინანსების რეგულაციაში გაწერილი აქვს დებულება, რომლის მიხედვითაც, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეიძლება აღმოუჩინონ ფინანსური შეღავათი.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია სწავლის გადახდის საფასურთან დაკავშირებული რეგულაციები და ის შესაძლოა შეზღუდვას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ასევე, სტუდენტს საშუალება ეძლევა გაეცნოს უნივერსიტეტის შეთავაზებას სწავლის საფასურის სემესტრულად განაწილების შესახებ.

უსდ-ში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის დებულებაშიც გაწერილია სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება, ადმინისტრაციასთან ურთიერთობის წესი, ფინანსები, თვითმმართველობის წევრობის არსი და ა.შ.

სტუდენტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესი, რომლის მიხედვითაც სტუდენტს საშუალება ეძლევა გაცვლით პროგრამის ფარგლებში, სხვა ქვეყანაში გავლილი სასწავლო კრედიტები უღიარონ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტში მოქმედებს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ბრძანება „საგამოცდო პროცესების და შედეგების გასაჩივრების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, რომელშიც გაწერილია საგამოცდო პროცესი და შედეგების გასაჩივრების ინსტრუქცია, თუმცა სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტები ინფორმაციას არ ფლობენ უნივერსიტეტში მოქმედი გასაჩივრების წესის შესახებ, ამასთან, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც რეგულაციებია განთავსებული, არ მოიძებნენ ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირება გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესის შესახებ.

გასაუბრების შედეგად როგორც გაირკვა, აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უზრუნველყოფს ძირითადი (ელექტრონული) სასწავლო მასალით, მაგრამ დისტანციური სწავლებისას, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, სტუდენტს დამატებითი ლიტერატურის გასაცნობად უწევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მისვლა. ვინაიდან დისტანციურმა სწავლებამ და პანდემიის პირობებმა გამოიწვია მთელი რიგი ცვლილებები, სტუდენტი შეიძლება ქალაქგარეთაც კია გასული და უნივერსიტეტში მისი მისვლა, ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტისათვის გაციფრებული მასალის (დამატებითი ლიტერატურის) მიწოდება მისთვის სრულყოფილი ცოდნის გადაცემის მიზნით.

როგორც აღვნიშნეთ, სტუდენტი მოკლებულია ინფორმაციას სწავლის გასაჩივრების შესახებ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ ნორმატიულ აქტებში არ იძებნება მსგავსი ბრძანება, ამასთან, ვებ-გვერდს აქვს სექცია სასწავლო პროცესი, სადაც აღნიშნულია, რომ შესაძლებელია გადასვლა სტუდენტურ ცნობარზე, შეიძლება სწორედ მასშია გაწერილი ის ყველა საჭირო საკითხი, რომელსაც სტუდენტი უნდა ფლობდეს

სასწავლო პროცესის შესახებ, თუმცა მსგავსი სტუდენტური ცნობარი ვებ-გვერზე, სათაურით აღნიშვნის მიუხედავად, არ იმეზნება. ვინაიდან მთელი რიგი გამოწვევებისა და თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, სასურველია, უსდ-მ ვებ-გვერდზე, სათაურის ქვეშ „სტუდენტური ცნობარი“, დაამატოს ინფორმაცია აღნიშნული თემატიკის ფარგლებში, რათა სტუდენტს შეეძლოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საჭირო საკითხის გაცნობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის დაფინანსებისა და სტიპენდიის გაცემის წესი“;
- „დისტანციური სწავლების საფაკულტეტო კონცეფცია“;
- „სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდის წესი“;
- „სტუდენტური თვითმმართველობის დებულება“;
- „უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესი“;
- „პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეგირების წესი“;
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ბრძანება „საგამოცდო პროცესების და შედეგების გასაჩივრების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - <http://www.tafu.edu.ge>
- გასაუბრება სტუდენტებთან;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირება გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესის შესახებ;
- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტისათვის გაციფრულებული მასალის (დამატებითი ლიტერატურის) მიწოდება მისთვის სრულყოფილი ცოდნის გადაცემის მიზნით;
- სასურველია, უსდ-მ ვებ-გვერდზე, სათაურის ქვეშ „სტუდენტური ცნობარი“, დაამატოს ინფორმაცია აღნიშნული თემატიკის ფარგლებში, რათა სტუდენტს შეეძლოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საჭირო საკითხის გაცნობა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული

პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 6 აკადემიური პერსონალი, მათგან 1 პროფესორია, 3 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი. ექვსივე მათგანი აფილირებული აკადემიური პერსონალია. სასწავლო პროცესში ჩართულია 5 მოწვეული პერსონალი. პროგრამას ემსახურება 3 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

როგორც ვიცით, ამ დრომდე პროგრამაზე ირიცხებოდა 1 სტუდენტი, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალთა რაოდენობა სრულიად საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია უსდ-ს მოთხოვნებთან და კანონმდებლობასთან.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებული პირდი საქმიდან ჩანს პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიციურობა, რაც სრულიად პასუხობს უსდ-სა და კანონმდებლობის მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე. უსდ-ს გაწერილი აქვს ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამის ხელმძღვანელი, კერძოდ იგი შეიძლება იყოს ფაკულტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის შემადგენელი მოდულის ხელმძღვანელი (შემდგომ მოდულის ხელმძღვანელი) შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელისთვის შესასრულებელ მოთხოვნებში შედის:

- ✓ პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო და სააკრედიტაციო მოთხოვნებთან;
- ✓ პასუხისმგებელია პროგრამის კურიკულუმის თაობაზე სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების თაობაზე დეკანისათვის გონივრულ ვადაში წინადადებების წარდგენაზე.
- ✓ პროგრამის შემუშავების კოორდინაცია;



უსდ-ში მოქმედებს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, დებულებაში გაწერილია რეკრუტირების პროცესი, რომლის მიხედვითაც რეკრუტირების ფორმებია:

ა) შიდა შერჩევა - გულისხმობს არსებული თანამშრომლების სამსახურის შეცვლას, დაწინაურებას ან ახლად შექმნილ სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანას;

ბ) მოზიდვა - გულისხმობს არსებული ვითარების შესაბამისად კომპეტენტური, გამოცდილი და უნივერსიტეტისათვის საჭირო კადრების მოძიებას, დაინტერესებას და შემდგომ დასაქმებას;

გ) ღია კონკურსი - გულისხმობს თანაბარი შესაძლებლობების, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით თანამშრომელთა მიღებას მათ შორის პროფესიული კონკურენციის პირობებში. ღია კონკურსი მოიცავს განაცხადების მიღებისა და გასაუბრების ეტაპებს;

დ) სტაჟირება - გულისხმობს დასაქმების მსურველ პირთათვის პროფესიული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობის შექმნას, პირველ რიგში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების საშუალების მიცემასა და მათი სამომავლო დასაქმების პერსპექტივების შეფასებას;

ე) უნივერსიტეტში თანამშრომელთა რეკრუტირების პროცესის დროს პარელელურად, გამოიყენება უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესით გათვალისწინებული სპეციალიზებული მოთხოვნები.

უსდ-ს შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების და კარიერის მართვის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამა შეიმუშავება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების განვითარების რგოლებთან და ძირითად საგანმანათლებლო ერთეულების წარმომადგენლებთან ერთობლივად. პროფესიული განვითარების აქტივობათა შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის პერსონალის მართვის საერთო პოლიტიკაში.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს „აფილირების წესი“, სადაც გაწერილია აფილირებულ აკადემიურ პირთა უფლებები და ვალდებულებები, აფილირებასთან დაკავშირებული პირობები, გარემოებები, რომლის დროსაც არ შეიძლება უნივერსიტეტთა აფილირება.

ასევე, უნივერსიტეტი ცდილობს პერსონალის გარკვეულ წახალისებასა და მოტივაციას, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“ ნათქვამია, რომ „წახალისების ღონისძიებები განხორციელდება როგორც ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, ასევე საყოველთაო წახალისების გზით, პრემირებისა თუ კონკრეტულ აქტივობაში კოლექტივის ჩართულობის დაფინანსებით“, თუმცა არ არის გაწერილი ის პირობები, მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც პერსონალი გარკვეულ წახალისებას მიიღებს უნივერსიტეტისგან. სასურველია, უსდ-მ შეიმუშაოს გაწერილი პირობები, აქტივობები, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც პერსონალი გარკვეულ სარგებელს მიიღებს

უნივერსიტეტისგან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულება
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- „აფილირების წესი“
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, უსდ-მ შეიმუშაოს გაწერილი პირობები, აქტივობები, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც პერსონალი გარკვეულ სარგებელს მიიღებს უნივერსიტეტისგან.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. გამოკითხვები ტარდება როგორც პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან პერსონალის შეფასების მიზნით.

უნივერსიტეტში მოქმედებს „სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“, რომლის მიხედვითაც აკადემიური პერსონალის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება ხდება შესაბამისი სტანდარტების უზრუნველყოფითა და ამ სტანდარტების შესრულების მონიტორინგის პროცედურების მიხედვით. შეფასების ძირითადი მიზანია სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლება, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი. შეფასების ანალიზის შედეგად შემუშავდება წინადადებები და რეკომენდაციები როგორც სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების, ასევე, სწავლების ფორმების, საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფისა და მათი სტრუქტურის დახვეწის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.

უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ დასკვნას ადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე.

შფასების წესის მიხედვით, შეფასების პროცესში ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს მეცადინეობების ხარისხის შემოწმებას. იგი განხორციელდება პერიოდულად სპეციალური კომისიის მეცადინეობაზე დასწრებით. კომისიის შემადგენლობაში შევა უნივერსიტეტისა და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიების წარმომადგენლები. ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად (რეგისტრაციის გავლა, მეცადინეობის დროული დაწყება, განხილული თემის შესაბამისობა სილაბუსში მოცემულ გეგმასთან და სხვ.), შემოწმდება მეცადინეობის წამყვანი პროფესორის ან მასწავლებლის შესაბამისი კომპეტენტურობების განვითარების დონე.

პერსონალის პროფესიული განვითარების, მათი სამეცნიერო მოღვაწეობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში დაფუძნებულია ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციები, საკონფერენციო მოხსენებების ყოველწლიური გამოცემა, საუნივერსიტეტო გამომცემლობა „კენტავრი“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი;
- შეფასების ფორმები;
- გამომცემლობა „კენტავრის“ დებულება;
- გასაუბრება ხარისხის მართვის სამსახირთან;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
  - ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის განსახორციელებლად დათმობილია უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აუდიტორიები, ვიდეოთეკა.

უსდ-ს აქვს ბიბლიოთეკა, ასევე, კომპიუტერული რესურსი. ბიბლიოთეკაში სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს საჭირო სასწავლო მასალა, იმავე სივრცეში გაეცნოს ან გადაიღოს ქსეროასლი. ასევე, სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ კომპიუტერული რესურსით. როგორც ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა აღნიშნა, მასალას, რომელზედაც საავტორო უფლებების მიხედვით გავრცელების აკრძალვა ვრცელდება, სტუდენტს შეუძლია გაეცნოს მხოლოდ ერთი კომპიუტერიდან, საიდანაც მასალის ჩამოტვირთვის საშუალება არ აქვს. სასურველია, მსგავსი მასალის გაცნობა ერთზე მეტი კომპიუტერიდან მოხდეს, რადგან, დიდი ალბათობით, ასეთი მასალის ხელმისაწვდომობა სტუდენტისთვის უნივერსიტეტის მხრიდან გართულდება მხოლოდ ერთი კომპიუტერიდან.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო, კერძოდ Elsevier-ის ბაზები, რომლებზე წვდომაც სტუდენტებს შეუძლიათ უნივერსიტეტის შიდა ქსელიდან. ასევე, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე, მაგრამ მასალის დიდი ნაწილის მოძიება ვერ მოხერხდა. ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მასალის გაციფრულების პროცესი ახლა მიმდინარეობს და მალე, ელექტრონული მასალა ელ.ბიბლიოთეკაშიც განთავსდება. თანამედროვე გამოწვევებისა და პანდემიით გამოწვეული გარემოებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სასწავლო მასალის, როგორც ძირითადი, ასევე, დამატებითი ლიტერატურის ელექტრონული ფორმით არსებობა. ამიტომ საჭიროა უნივერსიტეტმა სასწავლო მასალა ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განათავსოს საავტორო უფლებების დაცვისთვის განკუთვნილი მოთხოვნების შესაბამისად.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დისტანციურ რეჟიმში დათვალიერება;

<ul style="list-style-type: none"> <li>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - <a href="http://www.tafu.edu.ge">http://www.tafu.edu.ge</a></li> <li>• გასაუბრება სტუდენტებთან;</li> <li>• გასაუბრება ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საჭიროა უნივერსიტეტმა სასწავლო მასალა ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განათავსოს საავტორო უფლებების დაცვისთვის განკუთვნილი მოთხოვნების შესაბამისად.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასურველია, საავტორო უფლებებით დაცვის მიზნით, ერთ კომპიუტერში განთავსებული მასალის გაცნობა რამდენიმე კომპიუტერიდან მოხდეს, რადგან, დიდი ალბათობით, ასეთი მასალის ხელმისაწვდომობა სტუდენტისთვის უნივერსიტეტის მხრიდან გართულდება მხოლოდ ერთი კომპიუტერიდან.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

#### 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის

საჭიროებებს.
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>„ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ სუბსიდირებულია უნივერსიტეტის მიერ. პროგრამა უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ამდენად მისი დაფინანსება არ ფერხდება.</p> <p>გასაუბრების შედეგად, ირკვევა, რომ თუ პროგრამით უფრო მეტი სტუდენტი დაინტერესდება, უნივერსიტეტი მზად არის სრულად უზრუნველყოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ბიუჯეტი და გამოჰყოს საჭირო სახსრები.</p> <p>ზოგადად, ფაკულტეტის ბიუჯერი იმგვარადაა შედგენილი, რომ სრულად უზრუნველყოფს ფაკულტეტის ფინანსურ უზრუნველყოფას. მასში გაწერილია შრომის ანაზღაურებისთვის, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისთვის/ინფრასტრუქტურისთვის, სამეცნიერო/საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველსაყოფად გამოყოფილი თანხები.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველო შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ბიუჯეტი</li> <li>• გასაუბრება ადმინისტრაციასთან</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p>

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

#### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური).

ხარისხის გასაზომად და საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა პერიოდულ გამოკითხვას. სტუდენტებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ სტუდენტები სემესტრის ბოლოს აფასებენ ლექტორს, კურსს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებისა და ხარისხის შეფასებასა



და ინტერვენციების დანერგვას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი სპეციალისტების დახმარებითა და სპეციალურად შექმნილი რეგულაციების დახმარებით. გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს საკმაო რაოდენობის პროგრამას, მხოლოდ ერთი სამსახურის მიერ განხორციელებული ხარისხის შეფასების პროცესი შეიძლება შრომატევადი აღმოჩნდეს, რაც აისახება განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში, სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელის როლი, რომელიც დაგეგმავს და განახორციელებს პროგრამის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებს - ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განვითარებისთვის და წარუდგენს მას ხარისხის სამსახურს, რომელიც შესაბამისი პროცედურების დაცვით მიიღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ცვლილებების შესახებ. აღნიშნული მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის დანერგვისა და შეფასების პროცესის დეცენტრალიზება.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის სააკრედიტაციოდ წარმოადგინა შიდა ხარისხის მექანიზმების შესაბამისი ინსტრუმენტები - კითხვარები. წარმოდგენილ დოკუმენტებს შორის არ არის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიის / ხედვის ან მექანიზმების ამსახველი დოკუმენტი. ანიშნული დოკუმენტები ვერ იქნა მოძიებული ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე. შესაბამისად, წინამდებარე დასკვნები ეყრდნობა, ძირითადად უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით მოპოვებული დოკუმენტების ნაწილსა და ინტერვიუს შედეგებს. ნიშანდობლივია, რომ ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტები ძირითადად 2017 წლით თარიღდება. ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ არ მოხდა შიდა ხარისხის მექანიზმების გადახედვა განახლებული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ განახლებული სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ბევრი შეხვედრა მოეწყო და ცვლილებებიც შევიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებსა და წესებში, თუმცა სწავლებისა და მუშაობის დისტანციურმა ფორმატმა და პანდემიასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა ხელი შეუშალა აღნიშნულ პროცესს. ვებგვერდის საშუალებით არ არის საჯარო და ხელმისაწვდომი განახლებული დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ უკანასკნელ ცვლილებებს (მხედველობაში გვაქვს ვიზიტის დროისთვის უკვე განხორციელებულ ცვლილებები).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასება
- ინტერვიუს შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის მეანიზმების ამსახველი დოკუმენტები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელის როლი პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დაიგეგმოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობა აღნიშნულ პროცესში.

დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, ვებგვერდზე განახლდეს და აიტვირთოს ზემოაღნიშნულ მექანიზმებთან დაკავშირებული დოკუმენტების ბოლო ვერსიები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს საუნივერსიტეტო დონეზე წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი.

პროგრამა შემუშავდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სპეციალისტები არა მხოლოდ შემუშავების პროცესში არიან ჩართულები, არამედ პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, ისინი იქნებიან შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორები და ლექტორები. აღნიშნული მიდგომით დაწესებულება უზრუნველყოფს ქართულ ენაში მომზადების მიმართულებით წამყვანი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებასა და დანერგვას. ამასთანავე მნიშვნელოვანი იქნებოდა, პროგრამის შეფასება განხორციელებინა სხვა უმაღლეს დაწესებულებებს ან შესაბამისი მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასება
- ინტერვიუს შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველი იქნებოდა, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილად პროგრამის შეფასება განხორციელებინა სხვა უმაღლეს დაწესებულებებს ან შესაბამისი მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის და შეფასების ყველაზე აქტიური ფორმა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებების მოკრება და შეჯერება. გროვდება და ანალიზდება კვლევის მასალები, ხოლო შედეგები გამოიყენება პროგრამებში ცვლილებების გასახორციელებლად.

პროგრამების მონიტორინგის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასება პირდაპირი მეთოდებით. შეფასების შედეგები დინამიურად აისახება პროგრამებში. კომპეტენციების რუკის დახმარებით იზომება კონკრეტული სასწავლო კურსის წვლილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ამავე დროს, კომპეტენციების რუკა აჩვენებს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომელიც მნიშვნელოვანი მექანიზმია პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტურობის და განხორციელებადობის გასაზომად.

რაოდენობრივი ანალიზის საგანს უნივერსიტეტში წარმოადგენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (ქულების) და დასაქმების მაჩვენებლები. ტენდენციების გამოკვეთის, გაანალიზებისა და დასკვნის საფუძველზე ხორციელდება მიზეზების დადგენა და საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას ჰყავს მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული, რომელთან დაკავშირებაც ვერ მოხერხდა, უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა უშალოდ

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, თუმცა განხორციელების შემთხვევაში გავრცელდება ზემოაღნიშნული წესი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასება
- ინტერვიუს შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			
---	---	--	--	--

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

  
რამაზ ქურდაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: მიხეილ გიორგაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა: ქეთევან ჩეკურიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა